წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. შაბათი, 11 ივლისი 1915 წ. № 41

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციის კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ელ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ღირება 5 მანეთი.

დასავლეთ საქართველოს მევენახეთა საზოგადოება

## „ალექსანდრეული"

5 ამა ივლისს დაიწყო ღვინით ვაჭრობა რაჭა-ლეჩხუმის (ყიფიანის), სვირის, ქართლის და სხვა ღვინოები

ოლღას ქუჩა სახლი № 8.

## „საქართველოს" კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო" 1 ივლისიდან წლის დამლევამდე ღირს 4 მან. 50 კ., 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ., ერთი თვით—90 კ., ადრესის გამოცვლა—40 კ.

მოვაგონებთ „კლდის" იმ ხელის მომწერთ, ვისაც მთელი წლის ფული აქვს გადახდილი (5 მ.), რომ „საქართველო" გაეგზავნებათ მხოლოდ 1 ივლისამდე.

**მისამართი:** г. Тифлисъ, редакція „Сакартвело", Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

პირველხარისხოვანი

„კაფე ბორდო"

მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1.

**ჟავა, ყოველგვარი ცხელ-ცხელი საუზმე დილის** 9 საათიდან 12 საათამდე. **სადილი** 1—6 საათამდე. **სადილი** 2, 3 და 4 თავიანი. აგრეთვე ჩვენებური საჭმელები: ხარჩო, ლობიო, საცივი, ხაჭაპური, ნაყინი და სხვა და სხვა ხილის წყალი, ცხელი „პიროჟკები". თვიურად მოსადილეთ შეღავათი ეძლევათ. სადილს ვგზავნით ოჯახებშიც. სასადილო ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

პატივისცემით **რაჟდენ იოსელიანი.**

**იმ საშინელ ცეცხლის გამო, რომელმაც იმსხვერპლა ქართული თეატრი და თავად-აზნაურობის სხვა შენობები, დროებით დაკეტილი**

„კაფე პარიზი"

**გაიხსნა წინანდელ შენობაში, სასახლის ქ., თ.-აზნ. ქარვასლაში,**

იგი გამშვენიერებული და გალამაზებულია სატახტო ქალაქების პირველ-ხარისხოვან სასადილო-რესტორანების სტილით.

ყოველ დღე გვაქვს ევროპული და ჩვენებური საჭმელები, რომლებიც ნამდვილ კარაქზე მზადდება გამოცდილ კულინარის ხელმძღვანელობით. სასადილო-რესტორანს აქვს მყუდრო ბაღი, სანარდე და საბილიარდო განყოფილება 4 ბილიარდით და 10 ნარდით. სხვა და სხვა ხილეულობის წყალი, ნაყინი, ლობიო, საცივი და ყოველგვარი იმერული საჭმელები. **თვიურ მოსადილეთ დიდი შეღავათი.**

პატივისცემით **დ. გიგიბერია.**

გამოცდილი მასწავლებელი ქალი

ღებულობს და ამზადებს პირველ და მეორე კლასისთვის ქალ-ვაჟს ყველა საშუალო სასწავლებლისას. აგრეთვე ამზადებს, ხელმისაწვდომ ფასებში, ვისაც განმეორებითი გამოცდა ექნება. შეიძლება სახლში მიწვევაც. **მისამართი:** კირპიჩნის შესახვევი, სახლი 12, ოთახი 9. 0—7

ირ. ევდოშვილის

სრული კრებული ხელის მოწერით ღირს ორი მანეთი. **მთელი შემოსავალი** მგოსანს გადაეცემა.

„საქართველოს" რედაქციაში (მოსკოვის ქუჩა № 4) მიიღება ხელის მოწერა 0—8

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე მანგლისში კადეტთა კორპუსის აგარაკში.

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევი 21.

ქ. გორში

ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

ღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

**გადაჭრას საჭერ მანქანის საშუალებით და საჭერ მანქანაზე**

მუშობის სწავლებას

**ხელმისაწდომ ფასებში ჰკისრულობს**

ი. თ. ბეათუას კანტორა

**ვერის დაღმართი № 1**

ტელეფონი 17—05

# ომის დღიური

## მიმოხილვა

განუზომელ ბრძოლის ველის კიდევ ერთ კუთხეში ასტყდა მედგარი ბრძოლა: ციხე კოვნოს სამხრეთ-დასავლეთით და ნემანის სამხრეთით მდინარე ესიას ნაპირებზე გერმანელები ცხარე იერიშებით წამოსულან. ამ იერიშს ოსოვეცთან წარმოებულ ოპერაციას უნდა ჰქონოდა კავშირი. ნარევის ფრონტზე მეტად მედგარი ბრძოლა ყოფილა როჟანის სამხრეთით, 8 ვერსით, სოფელ მოჩკი-კავკის ხაზზე, სადაც ნარევი რკალივით იზნიქება. ვისლის გაღმა რუსის ჯარს უჭირავს ბლონე-ნადერჟინისა და ციხე ივანგოროდის ფრონტი. ბლონე მდებარეობს ვარშავიდან 25 ვერსზე დასავლეთით, ნადერჟინი—20 ვერსზე სამხრეთ-დასავლეთით. აქ ბრძოლის პირი ისეთივეა, როგორიც იყო შარშან, როცა გერმანელები ვარშავას მოუახლოვდნენ და შემდეგ დამარცხებულნი უკან გაბრუნდნენ. ვისლისა და ბუგის შუა ბრძოლის პირი ისევ ხოლმ-ლიუბლინის რკინის გზის გასწვრივ მიდის, რამდენიმე ვერსით გზის სამხრეთით უმაგალითო ბრძოლა ჯერაც არ გათავებულა. ბუგის მარჯვენა ნაპირიდან რუსის ჯარს ზოგან უკანვე გადურეკია მოპირდაპირე. თუ აქ რუსის ჯარმა შესამჩნევად წაიწია, დიდი ხიფათი მოელის მაკენზენის ჯარს, რადგან რუსები აქ უფრო ახლო არიან მოპირდაპირის ბაზასთან—რუსკა-რავასთან, ვიდრე მაკენზენის ჯარი, რომელიც ძალიან დაშორდა ამ ადგილს.

მ. ბ.—ლი.

## დეპეშები

**თბილისი,** 9 ივლისი. კავკასიის ლაშქრის შტაბისაგან. 7 ივლისისა ღამით 7 ივლისს ზღვის პირის რაიონით ოსმალებს უნდოდათ მაგარდაგის რაიონში შემოჭრილიყვნენ, მაგრამ ვერა გააწყეს-რა. ოლთისის მიმართულებით ტეფა და ახას რაიონში სროლაა. მუშის მიმართულებით 6 ივლისს ჩვენმა ჯარმა დაამარცხა ოსმალები, რომელიც ადინჩართან ეფრატის მარცხენა ნაპირზე გადმოვიდნენ. ჩვენი ჯარი მისდევს დამარცხებულ ოსმალებს ბითლისისა და მუშის მიმართულებით. დევნის დროს ერთმა ჩვენმა რაზმმა ხელთ ჩაიგდო მათი ბარგი და დიდი ჯოგი საქონლისა. ოსმალები სიჩქარით გარბიან და სტოვებენ თავიანთ საჭურველს. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

**პეტროგრადი,** 9 ივლ. ოფიციალი. მთავარ სარდლის შტაბისაგან. შაველის რაიონში მოწინაალმდეგე მიტავა-შავლის გზით აჯგუფებს თავის ძალას. ნემანის გაღმა რაიონში მდინარე ესიაზე კოვნოს სამხრეთ-დასავლეთით 8 ივლისს შეუპოვარი ბრძოლა სწარმოებდა. ნარევის ფრონტზე როჟანის რაიონში სოფელ მროჩკას და კავკავას ახლოს საშინელი ბრძოლა სწარმოებს. ერთ კონტრ-იერიშის დროს ყაზახებმა გერმანელების ერთი როტა აკუწეს. ვისლის მარცხენა ნაპირზე ჩვენს ჯარს უჭირავს ბლონე. ნადერჟინის ფრონტი და ივანგოროდის მოწინავე პოზიციები ვისლასა და ბუგს შუა ბრძოლამ 8 ივლისს უმწვერვალეს წერტილს მიაღწია. მტერი უმთავრეს ძალებს ბალუიცე, ვისლავიცა და გრუბეშოვისკენ აჯგუფებს. ზოგიერთი მაღლობები და სოფლები ხელიდან ხელში გადადის. ბუგზე კრილოვიდან დობროტოვამდე სასტიკი ბრძოლაა. სოკოლის ზემო, ბუგის მარჯვენა ნაპირის ფართე ახპარეზზე გავწმინდეთ მტრისაგან და ტყვედ წამოვიყვანეთ 1500 კაცი.

**პეტროგრადი.** „სობრ. უზაკონენიაში" გამოცხადებულია უმაღლესად დამტკიცებული მინისტრთა საბჭოს დებულება, რომლითაც ავალებს 1914-15-16 წლების ზედმეტად მოკრეფის მოხალისეებს ჯარში დარჩენას

**სტოკჰოლმი.** გერმანია დასთანხმდა, რომ რუსეთისა და გერმანიის ინვალიდები იმ წესით იქნან გადაყვანილნი, როგორიც შვეციის წითელი ჯვრის საზოგადოებამ შეიმუშავა,

**ათინა,** კონსტანტინეპოლში რუმინიიდან კვლავ შემოდის სამხედრო საჭურველი და მასალა. პრედეალის სადგურზე დაიჭირეს ორი ყუთი დინამიტისა, რომელიც ბუქარესტში გერმანიის მისიის სახელზე იყო გაგზავნილი. დაიჭირეს აგრეთვე რამოდენიმე ყუთი ასაფეთქებელი მასალაც, რომელიც კონსტანტინეპოლში იგზავნებოდა, როგორც ბულგარეთის მეფის ბარგა. ყუთები რუმინიის მთავრობამ დაიჭირა.

**ოდესსა,** 7 ივლ. სასანიტარო აღმასრულებელ კომისიამ დაადგინა მიიღოს ზომები, რომ რკინისგზის მოსამსახურენი, რომელნიც გალიციიდან არიან გადმოხვეწილნი, უზრუნველჰყონ გადამდებ სნეულებათაგან და აგრეთვე მხარი დაუჭირონ ქალაქის შუამდგომლობას, რომ შავ-ჭირთან მებრძოლ კომისიამ გადასდოს 312,000 მან. რათა განახორციელოს ქალაქის მიერ აღნიშნული ზომები ავადმყოფობასთან საბრძოლველად. აგრეთვე დადგენილ იქნა შემოღებულ იყვეს სავალდებულო დადგენილებანი, რომელიც კომისიის მიერ არის შემუშავებული.

**სტოკჰოლმი,** 8 ივლისი. ბერლინიდან იტყობინებიან, რომ ლაშქრის მთავარ გამგეობამ განკარგულება მოახდინა შეკრებილ იქნეს ცნობანი თუ რამდენია დაუმუშავებელი და დამუშავებელი სპილენძი ამ ჟამად. აგრეთვე მოსალოდნენელია სეკვესტრი უყონ იმ ნაწარმოებთ, რომლებშიაც სპილენძი ურევია. 20 ივლისამდის გერმანიაში სამხედრო მთავრობას უნდა ეცნობოს თუ რამდენია ამ ჟამად ბამბა, საზოგადოდ ბამბეული ნაწარმოები და ნაქროვი, აგრეთვე რამდენია მატყლეულობა და ბამბაზიის ქსოვილისაგან დამზადებული მამაკაცთა ქვედა საცვლები და სხვა.

**სევასტოპოლი,** 8 ივლ. ჩვენმა ნალმოსნებმა ორი ოსმალთა იალქნიანი გემი ჩაძირა. ამ გემებს რუმინიიდან სტამბოლში ნავთი მიჰქონდათ. მეზღვაურები დაატყვევეს.

**ათენა,** 8 ივლისი. ინგლისის წყალქვეშა ნავი ბოსფორში შეიპარა და ნაღმი ესროლა აგირკაპის ახლო მახლობლად ღუზაზე მდგარ შალანდებს.

გერმანელები განაგრძობენ რუმინიითა და ბულგარეთით სტამბოლში სამხედრო მასალების გადაზიდვას. ამ ბოლო დროს სტამბოლში მოიტანეს 1500 ხელით სასროლი ყუმბარა. დღე დღეზე მოელიან სამხედრო სურსათით დატვირთული 60 ვაგონის მოსვლას.

**პარიზი,** 8 ივლ. დილის ოფიციალი ცნობა. სუშესა და ნევილის მახლობლად საარტილერიო ბრძოლაა. მთელი ღამის განმავლობაში სუასონს მტერი ზარბაზნებს უშენდა. ვოგეზებში გუშინ და დღეს ქვეითი ჯარი მოქმედებს. ჩვენმა მფრინავებმა რიცხვით 31 კაცმა გუშინ კონფლან-ჟარნიზის სადგურს ყუმბარები დაუშინეს. სამი მტრის მფრინავი უკუაქცია ჩვენმა ავიატორებმა.

**ლონდონი,** 8 ივლისი. პიტერგედან ლლოიდს ატყობინებენ, რომ რიგაში მიმავალი გემი „გენერალი რედეცკი" გერმანელთა წყალქვეშამ ჩასძირა შოტლანდიის კუნძულთან. მეზღვაურები რიცხვით 22 კაცი გადმოსხეს პიტერგედში.

**პარიზი,** 8 ივლ. გაზეთები იუწყებიან, რომ ქალაქ რუბედან გერმანელებს ტყვედ წაუყვანიათ 140 მოქალაქე. ტყვედ წაყვანილთა უმრავლესობა ფაბრიკის პატრონებია, რომელმაც გერმანელებს თავიანთი ფაბრიკისა და მასალების დათმობაზე უარი გამოუცხადეს.

**ლონდონი,** 9 ივლ. რეიტერის სააგენტოს ვაშინგტონიდან ატყობინებენ: შეერთებულ შტატების მთავრობამ გადასწყვიტა გერმანიას გამოუცხადოს, რომ თუ მომავალშიაც გერმანელთა წყალქვეშას მსხვერპლად ამერიკის მოქალაქენი გახდებიან, ამერიკა ამას მტრობაში ჩამოართმევს. ნოტაში ნათქვამია, გერმანიამ უბრძანოს წყალქვეშა ნავებს დაიცვას საერთაშორისო უფლება. ნოტა უარყოფს აგრეთვე გერმანიის წინადადებას შესახებ ამერიკის გემთა თავისუფალ მოგზაურობისა, უკეთუ ეს გემები კონტრაბანდით არ იქნებიან დატვირთული, იგი უარყოფს აგრეთვე წინადადებას, რომ მებრძოლ სახელმწიფოთა გემები ამერიკის ბაირაღის ქვეშ მოგზაურობდნენ ოკეანეში. თემთა პალატაში ასკვიტმა წაიკითხა ლოიდ-ჯორჯისა და რენსიმენის დეპეშა სადაც ნათქვამია, რომ მემაღაროებთა თათბირზე, მუშებმა გადასწყვიტეს გაორკეცებულ სიმხნით შეუდგენ მუშაობას, რათა აინაზღაურონ დაკარგული დრო, დეპეშაში ნათქვამია, რომ გაუგებრობას ბოლო მოეღოს შეთანხმების საშუალებით და არა პატრონების ძალდატანებით.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

### ახალი ხერხი.

წყალქვეშა ნავზედ გერმანელები მართავენ ანძას აფრითურთ, რომ სავაჭრო გემს დაამზგავსონ წყალქვეშა ნავი და მით მტერი შეცდომაში შეიყვანონ. ამგვარად „გადაცმული“ წყალქვეშა ადვილად უახლოვდება მოპირდაპირის სავაჭრო გემს და ადვილადვე სძირავს ზღვაში. ხშირად ანძის გვერდით ორი-სამი საკომლეცაა გამართული, საიდანაც განგებ ბოლი ამოდის, აქაო და სავაჭრო გემი არისო.

### საიდუმლო ორგანიზაცია.

მენის შტატში, ჩრდილო ამერიკაში, აღმოაჩინეს გერმანელთა ახალი ორგინიზაცია, რამაც საზოგადოებაში აღშფოთება გამოიწვია. როგორც ირკვევა, გერმანელებს უნდოდათ საიდუმლო ბაზა გაეჩინათ თავიანთ წყალქვეშა გემებისათვის. ამ შტატის სანაპიროზედ გაბნეულ ერთ-ერთ კუნძულზედ. პოლიციის მხრივ მკაცრი ზომები გამოიწვია გერმანელთა ასეთმა ცდამ, რომ თვით ამერიკის ნაპირებთან სამხედრო ოპერაციები გაეჩაღებინათ და რამდენიმე გერმანელი აგენტი დააპატიმრეს კიდეცა.

---

„რან. უტრ.“ პეტროგრადიდან ატყობინებენ: სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ ინიშნება გორემიკინი, რომელიც გრაფის ღირსებას მიიღებს, სახელმწიფო სათათბიროს გახსნის პირველ დღეს მთავრობის მაგიერ ილაპარაკებს კრივოშეინინი, რომელიც მინისტრთა საბჭოს თავჯდომარედ ინიშნება, თუმცა მის გარდა ასახელებენ დურნოვოს, სტიშინსკის და გრაფ კოკოვცევს.

---

იუსტიციის ახალ მინისტრს ხვოსტოვს „რუსკ. სლ.“ კორესპონდენტისთვის უთქვამს, რომ მიუხედავად იმისა რომ იგი მემარჯვენეა, მაინც არ ეთანხმება შეგლოვიტოვის პოლიტიკას. ომის დასრულებამდე პოლონელებისადმი პოლონეთში დამოკიდებულება უნდა შეიცვალოს. პოლონელების შევიწროება მალე გაუქმდება პოლონელთა სამეფოშიო.

### შერიგება.

სტამბოლიდან იუწყებიან: მემკვიდრე პრინცი იუსუფ-იზზედინი შეურიგდა ახალგაზდა ოსმალთა პარტიასო. ეს შერიგება მომხდარა სულთანის თანადასწრებით. იუსუფ-იზზედინს და ენვერ ფაშას ერთმანეთისთვის ხელი ჩამოურთმევიათ, ამასთან იუსუფი იზზედინს ფიცი დაუდვია რომ ის ხელი-ხელ ჩაკიდებული იმოქმედებს ახალგაზდა ოსმალებთან სამშობლოს დასაცველად, და სურვილი გამოუთქვამს აქტიური მონაწილეობის მიღებისა სამხედრო მოქმედებაში. იმავე საღამოს მომხდარა სამხედრო თათბირი. მოწვეულ იქნა იუსუფ-იზზედინიც. ის დაინიშნა ეგრედ წოდებულ უფროსად სარეზერვო ჯარისა, რომელიც ამ დროებით სტამბოლში იმყოფება. ახლო მომავალში პრინცი გალიპოლის ფრონტზე გაემგზავრება, სადაც არმიის უფროსობას გასწევს. მის შტაბის უფროსად ინიშნება გერმანელი ოფიცერი და ამით დადასტურდება იზზედინის შერიგება გოლც-ფაშა და გერმანელ ოფიცრებთან.

---

პოდოლის გუბერნატორი მოუწოდებს მცხოვრებლებს, რომ თუ გარამოებამ მოითხოვა, მცხოვრებნი პოლიციის მიერ წინდაწინ იქნებიან გაფრთხილებული, რათა ხალხი შუა რუსეთში გადასახლდეს, ყოველი მამაკაცი 18 წლიდან 50 წლამდე უნდა ეცადოს მტერს არ ჩაუვარდეს ტყვედ.

---

კოპენჰაგენიდან იუწყებიან, რომ გერმანიის ცდას,—რუმინიის სამხედრო მასალის შეტანას ოსმალეთში—იმით ხსნიან რომ ოსმალებს საომარი მასალა აკლიათ. არც ოსმალთა ჯარის ნაცადი სიმამაცე და არც გერმანელთა საორგანიზაციო ნიჭი ვერ იხსნის სტამბოლს, თუ რუმინიამ ნება არ დართო თავის ქვეყანაზე გაატაროს საომარი მასალა. გერმანული პრესა გერმანიის მუქარას მხარს უჭერს, გარდა „Yorwarti-“ისა, რომელიც პროტესტს უცხადებს ანტირუმინიის კომპანიას.

### პირველი დათმობა.

როგორც ამბობენ, გერმანიის მთავრობამ მეზღვაურებისადმი ბრძანება გამოსცა, რომ ამასიქით სავაჭრო გემები გაუფრთხილებლად აღარ ჩაჰლუპოთო. ამ ბრძანების იმ გარემოებით ჰხსნიან, რომ გერმანიამ ამერიკის მოთხოვნით პირველი ნაბიჯი გადადგა დათმობისკენაო.

### დეპუტატის შეპყრობა.

როგორც ამბობენ პრაგაში ჩეხელი დეპუტატი რასკინი შეიპყრესო.

### სოციალდემოკრატები.

ჰესენის სოციალდემოკრატების მამამთავარმა და ბელადმა სოციალდემოკრატმა დავითმა მიუნხენის გაზეთ „პოსტში“ კაუცკის წინააღმდეგ გაილაშქრა.

დაიწყო ომი თუ არა—ამბობს დავითი—უცხო ქვეყნის სოციალდემოკრატები ყოველგვარ შეურაცხყოფას აყენებდნენ და აყენებენ გერმანელ სოციალდემოკრატებს. ამ დროს კაუცკი რედაქტორობს „ახალ დროებას“ და ერთი სიტყვაც არ დაუძრავს გერმანელ სოციალდემოკრატების სასარგებლოდ. კაუცკიმ ხმა ამოიღო ინგლისის სციალდემოკრატის ბლატსფორდის დასაცავად, როდესაც ჩვენ მას გულის წყრომა გამოვუცხადეთ, რადგან იგი გერმანიას შეურაცხყოფდა, მაგრამ კაუცკი სდუმს, როდესაც მთელს გერმანიას ამცირებს.

მას ამით ჰგონია, რომ მსოფლიო შეთანხმებას ემსახურება, მაგრამ ნამდვილად გერმანელებსა და სხვა ერის შორის გათხრილ უბსკრულში იჩეხება.

„რეჩ.“

### ედისონის მიწვევა.

როგორც ვაშინგტონიდან იტყობინებიან, საზღვაო დეპარტამენტმა შეადგინა სპეციალი კომისია, რომელმაც საშუალება უნდა გამონახოს მოწინააღმდეგის წყალქვეშებთან საბრძოლველადაო.

ამ კომისიაში ედისონიც მოიწვიეს.

### ინგლისელ მინისტრის სიტყვა.

ასკვიტმა ერთ-ერთ კრებაზე განაცხადა: „დღევანდელ ომზედაა დამოკიდებული ინგლისის სახელმწიფოს არსებობა. ამ ომს სჭირდება აუარებელი ფული. ნაპოლეონის ომი ინგლისს 23 წლის განმავლობაში 800 მილიონი გირვანქა სტერლინგი (გირვანქა სტერლინგი თუმანს უდრის) დაუჯდა. ეხლა კი ომის საჭიროებაზე დღეში იხარჯებოდა 1,000 მილიონი გირვანქა სტერლინგი. ნაპოლეონის ომის დროს კვირაში ერთი მილიონი გირვანქა სტერლინგი იხარჯებოდა ამ ჟამად კი სამი მილიონი გირ. სტერლინგი დღეში. დღეს დიდ ძალ სესხის აღება გვჭირდება, ასე რომ თითქმის უსაზღვრო სესხის აღება. ინგლისი არა მარტო თავის საჭიროებას ანდომებს ამ ფულს, არამედ მოკავშირე სახელმწიფოებსაც აწვდის. დაე ყოველმა მოქალაქემ იმდენ სესხზე მოაწეროს ხელი, რამდენიც კი შეუძლიან, ამით ინგლის სიცოცხლეს მიავანიჭებთ“.

### ახალი ზე-ცეპელინები.

როგორც აქამდის სხვა-და-სხვა წყაროებიდან ხმა ისმოდა, ეხლა მართლდება, რომ გერმანელებს ექვსი ცეპელინი შეუიარაღებიათო. ეს ცეპელინები პირვანდელებს ყველაფრით აღემატება და ამიტომ ზე-ცეპელინები ჰქვიან სახელადაო. (რეჩ.)

### შეუძლიან ხალხს ომში ჩარევა?

ნაპოლეონის ომის დროს ბრძოლაში ფართე რუსის მასა იღებდა მონაწილეობას. მოწინააღმდეგეს ხალხი თავს ესხმებოდა, ხელჩართულ თუ პარტიზანულ ბრძოლას უმართავდა, თავის ნებით ხალხი ანადგურებდა ყველაფერს, რაც კი მოწინააღმდეგეს გამოადგებოდა, მაგრამ ეხლა ომში ხალხს მონაწილეობის მიღება არ შეუძლიან ორის მოსაზრებით: ერთი იმიტომ, რომ მოწინააღმდეგე შუაგულ რუსეთში არ შემოვა. იგი განაპირა კუთხეებიდან იბრძვის და მაშასადამე ხალხისთვის მიუწდომელია და მეორეც: დღევანდელ გაუმჯობესებულ ტეხნიკასა და აუარებელ ლაშქართან პარტიზანული ბრძოლა მოუხერხებელია, და თუნდ მოხერხდეს, უნაყოფო იქნება, გერმანიამ გვიჩვენა მაგალითი, თუ მთელმა ერმა როგორ უნდა მიიღოს ბრძოლაში მონაწილეობა. ყველას ხელში თოფის აღება არ შეუძლიან, მაგრამ სამაგიეროდ ყველას შეუძლიან გარედან დახმარება: ვინც სახლში რჩება მან უნდა ჯარს სურსათი და საომარი მასალა მიაწოდოსო—ამბობს „რეჩი“-ს თანამშრომელი.

# ქართველი ერი განსაცდელშია

ოთხი დიდი უბედურება დაატყდა თავზე ქართველ ერს ამ ერთ წელიწადში: 1) მსოფლიო ომი,

2) მტრის შემოსევა დროებით და საქართველოს საუკეთესო ნაწილის აჭარის აოხრება და აწიოკება; 3) სიმშილი, რომელმაც მიიღო გურია-სამეგრელოში მწვავე ხასიათი

 და 4) წყალდიდობა, რომელმაც გაანადგურა 2—3 დღეში ჰალები, ნათესები, ყანები, ჩამორეცხა მთები, დაანგრია გზები, ხიდები, სახლები, სოფლები, დაახრჩო მრავალი ხალხი, აუარებელი შინაური პირუტყვი და მთელი დასავლეთი საქართველო ჩააგდო უსაზღვრო სასოწარკვეთილებაში.

აწერილია ის ზარალი, რომელიც მიაყენა ქართველ ერს ადიდებულმა მდინარეებმა, აუწერელია ის შიში და ზარი, რაც განიცადეს სოფლებმა წარსულ კვირას შუაღამისას მოვარდნილ გაცოფებულ ნიაღვრების და მდინარეთა მეოხებით. ეს საზარო სტიქიური მოვლენა ძლიერ წააგავდა ბიბლიურ წარღვნას. გაზეთები სავსეა ქალაქ-სოფლებიდან მოსული საშინელი ამბებით. სისხლი გეყინება ადამიანს, როს კითხულობ ამ დაუჯერებელ სინამდვილეს...

სისხლის ღვრა, აწიოკება,

წარღვნა, მილიონების ზარალი, უფულობა, წარმოუთქმელი სიძვირე სურსათისა და ყოველივე საჭირო ნივთებისა,—აი, ის ჯოჯოხეთური ჯილდო, რომელიც გვარგუნა ბედისწერამ უმწეო ქართველებს ერთ წელიწადში.

დიახ. შავ-ბნელი დრო დაგვატყდა თავზე ბედშავ ქართველებს!..

ვინ არის ამ საშინელების დროს ქართველი ერის პატრონი? ვინ ეხმარება, ვინ ჰპირისუფლობს მას? ქართველი ერის პატრონი და ჰპირისუფალია დღეს უზენაესი მთავრობა, ადგილობრივი ადმინისტრაცია და საქველმოქმედო საზოგადოება. მთავრობა აწვდის მცირეოდენ ფულს ჯარისკაცთა ოჯახებს. ეხმარება ფულით და სიმინდით დამშეულ გურია-სამეგრელოს, ადგილობრივი ადმინისტრაცია ცდილობს, აღმოუჩინოს დახმარება დამშეულთ და წყლით დაზარალებულთ; შველის რამდენადმე აგრედვე საქველმოქმედო საზოგადოებაც. მაგრამ ყოველივე ეს მცირეა და მხოლოდ პალიატივა. ქართველ ერის დღევანდელი უსაზღვრო გაჭირვება თხოულობს უფრო სხვაგვარ შველას და წამლობას. მას ესაჭიროება სულ სხვა გვარი მკურნალი და დოსტაქარი, საზოგადოებრივ ძალთა მწყობრი მოქმედება.

პირველ ორ მიზეზს, რომ თავი დავანებოთ, ე. ი. ომსა და აჭარელთა აწიოკებას, როგორც მსოფლიო „ფორსმაჟორს“ ვნახავთ, რომ ორი უკანასკნელი უბედურება, ე. ი. სიმშილი და წყალდიდობა გამოწვეულია ჩვენი საკუთარი მიზეზით. პრიმიტიული, სამეურნეო ტეხნიკა და კულტურა, სამეურნეო და სამელიორაციო სესხის უქონლობა, ერთგვარ მცენარეთა თესვით ნიადაგის გამოფიტვა, ტყეების უგუნური გაჩეხვა, საწარმოვო იარაღების, გზების ბაზრის ორგანიზაციის, სინდიკატ-კოოპერატივების და სპეციალურ სკოლების უქონლობა, ინტელიგენციის და საერთოთ ადგილობრივ ძალთა სრული პასივობა საზოგადო საქმეებში—აი მთავარი მიზეზები ქრონიკული სიმშილობისა, წყალდიდობისა, ქართველი ერის სიღარიბისა, უმეცრებისა და გონებრივ-ნივთიერად დაქვეითებისა.

ვგონებ არც ერთი კუთხე დედამიწაზე არ არის ისე მდიდარი, ლამაზი და მრავალფეროვანი, როგორც ჩვენი საქართველო. სალი, ზომიერი ჰავა, მშვენიერი ბუნება, ნაყოფიერი ვაკე-ჰალები, რომელიც სიმინდ-ხორბალთან ერთად იძლევა ბამბას, თამბაქოს, ვაზს, ჩაის, ხეს, დაფნას, ფორთოხალს და ზეთისხილს. მრავალ ჯიშის და ძვირფას ხეთა ტყეებით დაბურული მთები, კეკლუცი წყაროჩანჩქერები, აუარებელი მადნები და სამკურნალო წყლები,—აი ის საოცნებო ედემი ორ ზღვას შორის კოპწიად გაწოლილი, რომელზედაც ბინადრობს ქართველი ერი!

ნეტა რას არ მისცემდა ადამიანს ეს უხვი; მდიდარი, ბუნება! თვით ოქროს მორევში აცურებდა მას... ამ მშვენიერ ბუნებას ნაზოვან მკერდზე გაიფურჩქნა წარსულ დროთა სრბოლაში ქართველი ერის სული, აქ აყვავდა მისი მაღალი ხელოვნება, სიტყვიერება და პოეზია, აქ გაშალა არწივის ფრთები დიდი დავითის და თამარ მეფის ძლიერებამ, ეს ტურფა ბუნება იყო წმ. ნინოს, გიორგი მთაწმიდელის და იოანე ფილოსოფოსის აკვანი, აქ ააჟღერა უკვდავმა შოთამ თავის ციური ქნარი...

დღეს კი... დღეს ამ მშვენიერ, მდიდარ ბუნების წიაღზე მწარედ კვნესის ღატაკი, უმწეო, უმეცარი ქართველი ერი,

რად იყო უწინ აგრე, ან რად ხდება დღეს ასე?! რად ჩავარდით დღეს ასეთ საშინელ გაჭირვებაში?! ნეტა რა არის ამის მიზეზი? მიზეზი ბევრია, ძლიერ ბევრი... ამაზე ვრცელი საუბარი ძლიერ შორს გაგვიტაცებდა... ეს იყოს სხვა დროს, ეხლა კი ვეცადოთ რაიმე სალბუნი დავსდოთ გაჭირვებაში ჩავარდნილ ხალხს, რომელსაც ეხლა ეჭირვება მას მხოლოდ შველა და დახმარება.

საშინელ გაჭირვების დროს ყოველი ერი იკრებს თავის ძალღონეს, აღვიძებს თავის დაფარულ ძალებს, ებრძვის საოცარ გმირობით და თავგანწირვით გარეშე ძალებს, უბედურ მოვლენებს და ამ ულმობელ საბედისწერო გრიგალიდან გამოდის ხშირად გამარჯვებული და ფენიქსებრ განახლებული. საშინელ გაჭირვების დროს ერში ჩნდებიან გმირები, დიდსულოვანნი, ხასიათ-მტკიცე ადამიანნი; ისინი აგროვებენ და ჰკუმშავენ ერის დაქსაქსულ ძალებს, უდგამენ საერთო სულს, აძლევენ იმედს და გამარჯვების რწმენას, დარაზმულნი, მედგარი იერიშით მიჰყავთ ისინი ბრძოლის ველზე შემოსეული მტყრთა წინაშე საომრად, ან შინ სტიქიურ მოვლენა-გაჭირვებასთან საბრძოლველად. ეს ირის ბუნების და ისტორიის რკინის კანონი. ასე იქცეოდნენ ძველად ჩვენი ქებული წინაპრები. გენიოსმა მეფე დავითმა შეკრიბა ერის ერის დაქსაქსული ძალანი და იხსნა საქართველო თურქების თარეშისაგან და დაღუპვისაგან. ამ შეერთებული ძალით მან შექმნა ერის დიდება და ძლიერება. საშინელი რისხვა დაატყდა თავზე საქართველოს მეჩვიდმეტე საუკუნეში სპარს-ოსმალთაგან რუსეთთან დაახლოვების გამო. ირანის ლომი მას უპირებდა ერთიანად აღმოფხვრას და განადგურებას; მოსრისა კიდეც კახეთი, მაგრამ ამ დროს გამოჩნდა ქართლში გენიოსი სარდალი გიორგი სააკაძე. მან შეკრიბა ერთი მუჭა თავგანწირულნი მამულიშვილნი და მათი მეოხებით ჩაიდინა ნამდვილი სასწაულები. დიდმა მოურავმა გიორგიმ იხსნა შაჰაბაზის რისხვისაგან და მოსპობისაგან მთელი საქართველო.

ეს იყო წინად. ნეტა რას ვშვრებით დღეს, როცა თავზე დაგვატყდა თითქმის მთელი საქართველოს არა ნაკლებ საშიშარი რისხვა—სიმშილი და წარღვნა? რითი ვშველით უმწეო ხალხს? სად არიან ამ დროს გმირები და თავგანწირული მამულიშვილნი? მე ვეძებ, მე ვუყივი მათ! სიცოცხლით სავსე ახალგაზდობავ, ერის იმედო სტუდენტობავ, იქნებ თქვენს შორის არიან ეს გმირები! ნუ თუ არ გესმით გაჭირვებულ მოძმეთა, ქართველ ხალხის უმწეო კვნესა?.. სად ხართ, გამოჩნდით, გვაჩვენეთ თქვენი შრომა, უნარი და უდრეკი ენერგია!

თქვენ სდუმხართ! 2000 ქართველი სტუდენტი, ვაგლახ, მდუმარედ შესცქერის ქართველი ერის საშინელ ტრაგედიას!...ქართველ ერის მარილო, ერის გონებავ და გვირგვინო, განათლებულო ინტელიგენციავ, ნუთუ ვერ ჰხედავთ, რომ ქართველი ერი განსაცდელშია?! რას შვრებით, რასაკეთებთ?! სად არის თქვენ შორის გმირი, რომელიც ეჭირვება დღეს ჩვენს უბედურ ხალხს?! ნუ თუ თქვენით შეგროვილი ორიოდე გროში იხსნის ხალხს დაღუპვისაგან?! თქვენ სდუმხართ, თქვენ კინკლაობთ ერთმანეთში, თქვენი სული შეუპყრია ეგოისტურ ლტოლვას, თქვენი გონება გაუტაცნია ვიწრო პარტიულ იდეალებს, ამ დროს კი საძირკველი გეცლებათ, შენობა გენგრევათ თავზე, თქვენი მშობელი, თქვენი მკვებავი ქართველი ერი იღუპება... ქართვლის დედანო, ნინო-თამარის და ქეთევანის ტურფა ასულნო, სადა ხართ?! ნუთუ თქვენი ფაქიზი გული ვერ გრძნობს ქართველი ერის საშინელ [illegible] თქვენი ნაზი თვალები არ ხედვენ თქვენი უმცროსი დების მწარე ცრემლებს?! ნეტა სადა ხართ ამ დროს?! უცხო ენაზე ხმა მოისმის ეკლესიის დარბაზიდან: „აქ ვართ და გავიძახით უდარდელად მწვანე სუფრაზე: ფრაპ, ვისტ!.. ბედოვლათად ვაგებთ ქმრების მონაგარს წითელ თუმნიანებს ლოტო-ბანქოში“...

საკუთარი, პირადი ნებივრობა და ნებივრობა—აი მრწამსი და იდეალი ეხლანდელ სკოლაში აღზრდილ ქართველ ქალებისა! რუსულის ნაცრით მათ ჩააქრეს წმინდა ცეცხლი ქართველ ერის სამსხვერპლოზე... აი, სად არის სათავე კოლხიდა-ივერიის ბედშაობისა! აღარ გვყავს დედა, ქართველი ქალი და მასთან ერთად გაჰქრა ეროვნული გრძნობა, გმირობა და სიყვარული მოძმისა.

მაგრამ ერი კვნესის,

ამას დროით უნდა შველა და რაიმე სამსახურის აღმოჩენა. ამიტომ მოვუწოდებთ ყველა ფხიზელს და შეგნებულ ადამიანს, ქალსა და კაცს, რომელთა გულში არ გამქრალა ჯერ ადამიანური გრძნობა და სამშობლოს სიყვარული. განაგდეთ მცონარეობა და უმოქმედობა, დაივიწყეთ ურთიერთშორის შული და კინკლაობა, შეთანხმდით, შეერთდით და საერთო ძალით მიეშველეთ თქვენს გაჭირვებულ მოძმეთ, უმწეო, დამშეულ ქართველ ხალხს. გაანძრიეთ სამოქმედოთ ხელი და გონება, გადაარჩინეთ ხიფათს ერთს დროს ძლიერი—დღეს ცოცხალ-მკვდარი ქართველი!..

მაგრამ ეს არ კმარა, საჭიროა ვიზრუნოთ იმაზედაც, თუ როგორ ავაცილოთ თავიდან მომავალში სიმშილი, წყალდიდობა და როგორ მოვუპოვოთ ხალხს კულტურული და ნივთიერი კეთილდღეობა.

ამის მისაღწევად პირველი საფეხურია ფართო უფლებიანი ერობა, რომელზედაც ვრცლად გვქონდა საუბარი წინა წერილში. დღეს ეს საკითხი მეტად მომწიფებულია. დღეს ეს საკითხი მეტად მომწიფებულია. დღეს ამ საკითხის გადაწყვეტა ფრიად საჭიროა ქართველი ერის მომავლისათვის. **მხოლოდ ეროვნული სკოლები, სპეციალური ცოდნა და ფართო ერობა გამოიყვანს ქართველ ერს სიღატაკე-უმეცრებისაგან, იხსნის განადგურებისაგან და მისცემს ნივთიერს და სულიერ კეთილდღეობას, რაც დიდად სასარგებლო იქნება თვით რუსეთის იმპერიისათვისაც.**

ამიტომ ამ ერობის მოპოვებისათვის უნდა შეერთდენ ყველა ჩვენი საზოგადოებრივი ძალები და ჩვენი დეპუტატების მეოხებით უნდა ეცადონ გაიყვანონ ეს საკითხი სახელმწიფო სათათბიროში. **საჭიროა ჩვენ თვითონ შევამუშავოთ ჩვენთვის საჭირო ერობის პროექტი და ვეცადოთ მის დამტკიცებას.**

რიონელი.

---

# პრესა

გუშინწინდელ ჩვენს მეთაურს „აზრი“ გამოეხმაურა და ერთხელ კიდევ დაადასტურა ჩვენი აზრი შესახებ იმისა, რომ „ამ ხალხმა არაფერი ისწავლა ახალი და არც რამ დაივიწყა ძველისა“. რის გამო იყო ეს ნათქვამი? იმის გამო, რომ „სახალხოს“ უნდოდა „აზრელებისთვის“ მიეღებინებინა ძველი სადავო პრინციპი

ტერიტორიულ თვითმართველობისა, „აზრმა“ კი მოკლედ განუცხადა: „ჩვენ უარვყოფთ „სახალხოელთა“ ეროვნულ პროგრამას, რომელიც ტერიტორიის გამიჯვნის პრინციპზეა აგებული“. ეხლა „აზრი“ ამტკიცებს, ვითომ „საქართველო“

„სახალხოს“ ფრთხილათ უშვრება თვალს: მოდი ისევ ჩვენ ვიბაასოთ და შევთანხმდეთო. ჩვენც დავსძენთ ჩვენი მხრით: ნუღავინ გასწევს სიზიფის შრომას და ნურავინ იფიქრებს ჩვენს ნაციონალისტურ კამპანიაში ჩარევას. ტყუილი შრომა და დროს მოცდენა იქნება. ნაციონალისტებისაგან ჩვენ „ვერაფერს ვისწავლით“. ვერც თანამედროვე დემოკრატიის ბრწყინვალე იდეალებს დავივიწყებთ, რა გინდ დიდი საზიზღარი მოქმედება გააჩაღონ მთელი ქვეყნის შოვინისტებმა და მსოფლიო სისხლის მორევში აცურონ.

ათიოდე სტრიქონში „აზრმა“ ისე გახლართა სიყალბე, გაუგებრობა და ბავშვური ჟინიანობა, რომ ადამიანი იფიქრებს: ალბად „აზრის“ ხელმძღვანელნი ავად გახდნენ ან დაიქსაქსნენ და მათ ნაცვლად რედაქტორის მაგიდაზე მოუკალათნიათ ჟინიან და ანც ყმაწვილებს.

სიყალბე ამონაწერისა იმაში მდგომარეობს, ვითომ ჩვენ „სახალხოს“ თვალი ჩავუკარით და ვთხოვეთ: „მოდით ისევ ჩვენ ვიბაასოთ და შევთანხმდეთო“. **არც ერთი** სიტყვა შესახებ შეთანხმებისა ჩვენ წერილში არ ყოფილა. პირიქით, ჩვენ გადაჭრით უარვყავით **ამ ნიადაგზე** „სახალხო“-სთან შეთანხმება. ვწერდით: „ჩვენ ვიცით „სახალხოს“ მიერ აღნიშნული საზღვარი (ტერიტორიული) და სწორედ ამ საზღვარმა გასთხარა ჩვენ შორის ის გარდუვალი უფსკრული, რომელსაც ჩვენ **არასოდეს და არასგზით** (დედანშიაც ხაზგასმულია) არ გადავაბიჯებთ. ეს ერთი.

მეორე. „აზრი“ თავმომწონეთ და ჟინით აცხადებს: ნაციონალისტებისგან ჩვენ ვერაფერს ვისწავლითო. დღევანდელ „აზრის“ უბედურებაც ის არის, რომ მას ნაციონალისტების რისამე შესწავლა არ უნდა, ხოლო თავის ძმებისგან—მსოფლიო სოც.-დემოკრატებისგან—ან არ შეუძლიათ, ან განზრახ ყურს იყრუებს და თვალს იბრმავებს. მოვაგონებთ მკითხველს, რომ ტერიტორიული პრინციპი თვითმმართველობისა დიდი ხანია აღიარებულ იქნა ყველა იმ სახელმწიფოს სო.-დემოკრატების მიერ, სადაც არსებობს ეროვნული საკითხი და უმრავლესობა რომელიმე ერისა განსაზღვრულ ტერიტორიაზე. იგი იწამეს ავსტრიის ყველა ერთა სოც.-დემოკრატებმა (ბრიუნის კონგრესზე), რუსეთში—პოლონელებმა, ლატიშებმა, ფინებმა, მალოროსებმა, სომხებმა. დარჩნენ მხოლოდ ებრაელები და ქართველები. ებრაელებს არც შეუძლიანთ მისი მიღება, რადგან ტერიტორია არა აქვთ. არც ქართველ სოც.-დემოკრატებს შეუძლიანთ. რატომ? იმიტომ, რომ მათ ათი წლის განმავლობაში ასი ტომი დასწერეს და ასი ათასჯერ სთქვეს: ტერიტორიული თვითმართველობა ბატონ-ყმობის აღდგენააო, იგი უკიდურეს რეაქციონერთა და შავრაზმელთა იდეალიაო. როგორ უნდა მოვთხოვოთ ეხლა მათ საკუთარ ხელით ყელის გამოჭრა. აი უბრალო მიზეზი „აზრელთა“ ჟინიანობისა, ხოლო საგიტაციო რახა-რუხი—ჩვენს ბრწყინვალე იდეალებს არ დავივიწყებთო და თქვენგან არაფერს ვისწავლითო—ერთ და იმავე დროს სასაცილოც არის და სატირალიც.

## ახალი ამბავი

✦ **კრება ერობის შესახებ.** თბილისის გუბერნიის წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი ამ დღეებში აპირებს გაძლიერებული კრება მოახდინოს თავად-აზნაურთა მარშლებისა და დეპუტატებისა. კრებაზე გაირჩევა საკითხი იმის შესახებ, რომ ხელ ახლა აღიძრას შუამდგომლობა ამიერ კავკასიაში ერობა იქნას შემოღებული, რის შესახებ ქართველ თავად-აზნაურობას არა ერთხელ უშუამდგომლია მთავრობის წინაშე.

✦ **კახეთის რკინისგზა.** თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა პეტროგრადიდან შემდეგი ოფიციალი დეპეშა მიიღო: გზათა მინისტრის განკარგულებით კახეთის რკინის გზის ჩაბარება დაიწყება დაახლოვებით 20 ივლისიდან. მიმღებ კომისიის თავმჯდომარედ დანიშნულია ინჟინერი ლ. ლანგოდა. რკინის გზის საზოგადოების გამგეობას წარმომადგენლებად დანიშნული არიან გამგეობის დირექტორი პრივატ-დოცენტი თავადი ზ. ავალიშვილი და თბილისის თავა-აზნაურობის წინამძღოლი თ-დი დ. ჩოლოყაშვილი. გზის გამგედ დანიშნულია თავადი გ. თუმანიშვილი.

✦ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობამ დაადგინა 9 ივლისს, გაუგზავნოს საზოგადოების განყოფილებას ბათომში 4.500 მანეთი აჭარლების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

✦ **კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ** თავის წარმომადგენლად საგუბერნიო და კავკასიის სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში აირჩია საზოგადოების საბჭოს წევრი გ. გ. შადინოვი.

✦ მეფის მოადგილემ ნება დართო საერობო თანხიდან მიეცეს ოლქის აგრონომს გ. ს. გამხარაშვილს 1000 მანეთი ართვინის ოლქში ზეთისხილის ბაღების მოსარწყავად. საოლქო საკვებმა კომიტეტმა ავანსად მისცა იმავე გ. ს. გამხარაშვილს 3000 მანეთი საქონლის სასყიდლად, რომელიც დაურიგდება ართვინის ოლქის მცხოვრებთ. ბ. გამხარაშვილმა მეფის მოადგილის კანცელიარიას დეპეშით გამოსთხოვა ორი ინსტრუქტორი რომელნიც ხელმძღვანელობას გაუწევენ ბათომის ოლქში ხორბლის მოგროვებას.

✦ დააპატიმრეს ჟურნალისტი ნ. ვ. რამიშვილი, რომელიც გადასახლებულ იყო რუსეთში და ვადამდე ნება დაურთველად ჩამოვიდა.

✦ **კრება.** 14 ივლისს კრება ექნება სატრამვაიო კომისიას, რომელმაც უნდა ითათბიროს ტრამვაის მიმოსვლათა გაუმჯობესებაზე.

✦ **წყლის სიცოტავე.** თბილისში, რაც სიცხეები დაიჭირა, წყალმა შესამჩნევად იკლო მილებში. ეს იმით აიხსნება, რომ სიცხეებში შედარებით მეტი წყალი იხარჯება. 8 ივლისს 1.450.000 ვედრა წყალი გამოუშვეს ავჭალიდან თბილისში, ხოლო 9 ივლისს 1.485.000 ვედრო, მაგრამ წყალი საკმარისი მაინც არ იყო თბილისში. ამიტომ ქალაქის მოურავმა ბძანება გამოსცა ქუჩები და ქალაქის მცენარეულობა ღამ-ღამობით მორწყონ.

✦ **ხარჯთ-აღრიცხვა.** ქალაქის სასკოლო კომისიის თავმჯდომარემ ბ-ნმა ალიხანოვმა ქალაქის გამგეობას წარუდგინა 1916 წლის ხარჯთ-აღრიცხვა საქალაქო სკოლებისა, სახელოსნო სასწავლებლისა და სახელოსნოსი. ხარჯთ-აღრიცხვით მომავალ წელში ნავარაუდევია 203.841 მანეთი, გასულ წელში დახარჯულზე მეტი 3.061 მანეთით.

✦ **ქუჩების შეკეთება.** 9 ივლისს ქალაქის გამგეობა შეუდგა მიხეილისა და ელისაბედის ქუჩებზე დამტვრეულ ქვის დაყრას.

✦ **შემოწირულება.** რედაქციამ მიიღო აჭარლების სასარგებლოდ ბ. ბესარიონ ჭუბაბრიასაგან 3 მანეთი და 50 კაპიკი.

✦ **მადლობის გამოცხადება.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა მადლობა გამოუცხადოს გამგეობის აგენტს ბ-ნ ლომიძეს, რომელმაც გამგეობის მინდობილება სამაგალითოდ შეასრულა როსტოვში.

✦ **სახლის ჩამოქცევა.** ავლაბარში, მთავარანგელოზის მიხაილის სახელობის ეკლესიის მეზობლად დაიქცა ვინმე იანქოვის სახლი. ნანგრევების ქვეშ აღმოჩნდა კუბოები, მიცვალებულთა თავები, ფეხები და სხ. როგორც ამბობენ, წარსულ საუკუნეში იმ ადგილას ხოლერისაგან დახოცილები იყვნენ დასაფლავებულიო.

✦ **ბათომში.** ქალაქის ხმოსნები უკვე დაამტკიცა გუბერნატორმა და ეხლა ფიცი უნდა მიაღებინონ. გამგეობის წევრი ბ-ნი კრინიცკი მოსკოვს წავიდა ქალაქების წარმომადგენელთა კრებაზე დასასწრებლად. ქალაქის გამგეობას შაქარი მოუვიდა და დილის 9—12 საათამდე მცხოვრებლებზე ჰყიდის გირვანქას 18 კაპიკად.

✦ **უმცხვარი პური.** ქალაქის სავაჭრო-სამრეწველო ინსპექტორმა უმცხვარი პური აღმოაჩინა ზოგიერთ ფურნეში. ამის გამო ფიცხელ რევიზიას უპირებენ ფურნეებს და თორნეებს.

✦ **მაზანდა თათრის მოედანზე.** ფუთი ხორბალი ფასობს 1 მან. 40 კ., შავი ქერი 1 მან. 20 კ., თეთრი ქერი 1 მან. 10 კ., კარტოფილი 1 მან. 50 კ., ხახვი 3 მან. 20 კაპ., კიტრი ასი 1 მან. 30 კ., კომბოსტო 1 მან. 60 კაპ., ზაქათლის მხალი 3 მან.

✦ **სანოვაგე.** 9 ივლისს თბილისში მოვიდა 3 ვაგონი ფქვილი და 1 ვაგონი შაქარი.

### ქუთაისი.

✦ გრილ დღეების შემდეგ ქუთაისში დიდი სიცხე დაიჭირა.

✦ ქუთაისის სათავად-აზნაურო გიმნაზიაში წინა წლებში პირველი კლასის სამი პარალელური განყოფილება იყო, წელს მხოლოდ ორიღა იქნება, ამიტომ მომავალ სამოსწავლო წლისთვის მოწაფენი კონკურსით მიიღებიან.

როგორც ამბობენ სკოლის გამგეობას აზრად აქვს ასევე შემციროს სხვა კლასების პარალელური განყოფილებანი. რასაკვირველია, გიმნაზიაში მოწაფეთა რიცხვიც შემცირდება.

✦ ქართულ გიმნაზიაში მასწავლებლობას წელს რამდენიმე ახალგაზდა მასწავლებელი ანებებს თავს. გიმნაზიის მმართველისაგან მიღებული ქაღალდის თანახმად მომავალ სამოსწავლო წლიდან ქართულ გიმნაზიაში გაკვეთილები აღარ ექნება ს. ეზიკაშვილს.

✦ 5 ივლისს ქუთაისის ქართული დრამ. საზოგ. გამგეობამ ქალაქის ბაღში გამართა საჯარო სეირნობა. სეირნობის მთელი შემოსავალი უდრის 560 მანეთს. წმინდა დარჩება 300 მანეთამდის.

✦ ქუთაისის ქართ. დრამატ. საზოგადოების გამგეობა უკვე შეუდგა დასის შედგენას მომავალ სეზონისთვის.

✦ **სასწავლებელში.** ქუთაისის მეორე პირველ-დაწყებით სასწავლებელს, როგორც ქალაქის გამგეობის ანგარიშებიდან სჩანს 1914 წელს ხარჯი ჰქონია სულ 6,596 მან. და 91 კაპ. ამ სასწავლებელის მოწაფეების სწავლის გადასახადისაგან შემოსულა 489 მან. და 91 კაპ. ამ რიგად ქალაქს ამ სასწავლებლის შენახვა ერთი წლით დაჯდომია 6,107 მანეთი. „სამშ.“

✦ **ქუთაისის წყალსადენი.** ამ მოკლე ხანში თბილისიდან ჩამოვლენ ინჟინერი ქურდიანი და მისი ამხანაგები, რომელნიც ქუთ. ქალაქის გამგეობასთან პირობით შეკრულნი არიან—გამოიყვანონ ქუთაისში წყალსადენი ნაქერალას მთიდან ეგრედწოდებულ „მოხოულიდან“. ინჟენრები ერთხელ კიდევ დაათვალიერებენ მოხოულის ცივ წყაროებს და შემდეგ თავის მოქმედებას შეუდგებიან. წყაროების წყალს დაათვალიერებენ აგრეთვე ქალაქის გამგეობა და ხმოსნები. „სამშ.“

✦ **მატარებელი.** წყალდიდობით წამხდარი ლიანდაგი ფოთიდან ქვალონამდის, ჯერაც არ შეუკეთებიათ. მიმოსვლა შეწყვეტილია.

✦ **უხვი ანდერძი.** კვირას, 5 ივლ. გარდაიცვალა ქუთაისში თავისს სიმდიდრით ცნობილი გიორგი ბესოს ძე კოსტავა. როგორც სარწმუნო წყაროდან გავიგეთ, ქართველთა შორის წერა კითხვით გამ. საზოგადოებისათვის უანდერძებია 1000 (ათასი მანეთი), ქუთაისის ქალაქის საავადმყოფოსათვის 500 (ხუთასი მანეთი). სამას-სამასი მანეთი სამი წლის განმავლობაში უნდა მიეცეს მზითვად ქუთაისის ღარიბეს მართლმადიდებელ ქართველ გასათხოვარ ქალს, კენჭის ყრით, მთავარ ანგელოზისა, მწვანეყვავილისა და საფხიჩხიის ეკლესიებს ას-ასი მანეთი. გარდა ამისა იმ აუარებელ ქონებიდან, რომელიც მის მემკვიდრეებს დარჩათ ერთდროულათ დახმარება მიეცემა ბევრს ქვრივ-ობლებს (ასამდე კაცს, რომელთა სახელი და გვარი ჩამოთვლილია ანდერძში). „სამშ.“

## ახტალაში გამგზავრება

შაბათს, 11 ივლისს, ღამის 11 საათზე სპეციალი მატარებლით ახტალაში მიემგზავრება მეფის მოადგილის სამოქალაქო ნაწილის თანაშემწე ნ. ლ. პეტერსონი თავად-აზნაურობის წინამძღოლის თან. ალმ. თ. დ. ე. ჩოლოყაშვილისა და ყველა სხვა წინამძღოლებთა და დეპუტატებთან ერთად, რომ ადგილობრივ დაათვალიეროს ახტალას განთქმული სამკურნალო ტალახი.

როგორც დანამდვილებით ვუწყით განზრახულია, რომ ახტალას სამკურნალო ტალახი საექსპლოატაციოთ გადაეცეს კახეთის რკინის გზის გამგეობას და ჩვენც სრული დარწმუნებულნი ვართ ხსენებული გამგეობა სიამოვნებით შეეგებება ამ წინადადებას და ღირსეულად გამოიყენებს კიდეც ახტალის საკურორტო მნიშვნელობას. აქავე უნდა აღვნიშნოთ, რომ რკინის გზის ცხოვრებაში არის იმის მაგალითებიც, როდესაც რკ. გზის გამგეობა ზოგჯერ თითქო თავის არა პირდაპირ, მაგრამ მოსაგებ საქმეს ჰკიდებს ხელს.

## დეპ. აკაკი ჩხენკელი აჭარაში

კარგა ხანია დეპ. ჩხენკელს თავის ამორჩეველ სამწყსოში ხელმეორედ მოგზაურობა უნდოდა, მათი დღევანდელი ავკარგის გაგება ჰსურდა. ახლანდელ ომიანობის გამო მას ყველაზე უფრო გული მიერჩოდა დღეს აწიოკებულ აჭარაში, კლარჯეთსა, შავშეთსა და ძველი მესხეთის სხვა ნაწილებში, რადგან მთელი ქართველობის ყურადღება დღეს ამ ძველისძველ საქართველოსაკენ არის მიპყრობილი. მას ჰსურდა დღევანდელი მომენტის გამო ამ უბედურ და მრავალტანჯულ ქვეყნის თავგადასავალი ადგილობრივ შეესწავლა, შეეტყო და ზედმიწევნით გამოეკვლია.

ასეთი განზრახვა მას ამ ზაფხულში სურდა განეხორციელებინა, მაგრამ თუ შინაურ და გარეშე საზოგადოებრივ საქმეების გამო მან თავისი განზრახვა სავსებით ვერ შეასრულა, იგი მას სხვა და სხვა გარემოებებმა შუაგზაზე შეაწყვეტინა.

დეპუტატმა 27 ივნისს იხელთა დრო და წავიდა. მეორე დღემდი იგი ბათომში დარჩა. აქ ადგილობრივ საქველმოქმედო საზოგადოების სხდომას დაესწრო და მიიღო მონაწილეობა მიმდინარე საკითხების გადაწყვეტაში. სხვათა შორის, მოელაპარაკა ადგილობრივ მოღვაწეებს აჭარლების მამულების იჯარით გაცემის შესახებ, რაც დღიურ საკითხს შეადგენს ბათომის მხარისათვის, და ადგილობრივ გაზეთებშიც გამოცხადებულია გადახვეწილ აჭარელთა მამულების იჯარით გაცემის პირობები. იგი დაიწყო 4 ივლისს და გძელდება ორი კვირა. იჯარით გასაცემად ქუთ. სახელმწიფო ქონებათა უწყებას თავის მოხელე მევინეობა-მევენახეობის უფროსი სპეციალისტი ქ. ბერეკაშვილი ჰყავს გაგზავნილი და ვნახოთ როგორ მოაწესრიგებს იგი ამ მწვავე, სახალხო საქმეს...

ა. ჩხენკელმა ბათომში მიიღო სამი რიგი რკინის გზის მუშების დეპუტაციებისა: რემონტის, მოძრაობის და დეპოსი. მათ თავიანთ სადღეისო ჭირ-ვარამზე შესჩივლეს დეპუტატს და უახმარება დაავალეს. სხვა და სხვა მათ მოთხოვნილებათა შორის დეპუტატს მუშების წარმომადგენლებმა ისიც შესჩივლეს, რომ ახალი კანონის ძალით ამ ომიანობის ხანაში სხვა და სხვა დარგის მუშებს მოუმატეს ჯამაგირები, მაგრამ ბევრი მათგანი მომატებული ჯამაგირების აღებას ან სულ ვერ ეღირსა, ან დაკანონებულ დროიდან ვერ მიიღეს, და რაც მიიღეს, ისიც ხვედრზე ნაკლები. ბევრი კი ისევ ძველებურ ფასებში მსახურობს და ზოგსაც ტანისამოსი და სხვა საშეღავათო პირობები ცხოვრებისა მოაკლეს.

ვასილიევსკიმ (რკინის გზების უფროსმა) ბ-ნ ჩხენკელს განუმარტა, რომ ხელფასების მომატება რკინის გზის დღიურ მუშებსაც უნდა ჰქონოდათ, მაგრამ იმათ ახლანდელი შეღავათიდან არა რგებიათ. პირიქით, რემონტის მუშებისათვის ბინის ქირებიც კი მოუსპიათ იანვრიდან. ოჯახობის გასახიზნადაც ზოგს მეტი მისცეს, ზოგს ნაკლები და ტანისამოსსაც აღარ აძლევენ.

შესჩივლეს დეპუტატს რკინის გზის მუშებმა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ დღევანდელ მეტად გასაჭირ დროს რკინის გზის რაიონებში მოსამსახურე მუშებმაც განიზრახეს თავიანთ საჭიროებისათვის კოოპერატივის დაარსება და მისი სარგებლობა. ამისთვის ყოველივე ფორმალური მხარე შეასრულეს, წესდებები დაუმტკიცა მთავრობამ, მაგრამ ადგილობრივი ადმინისტრაცია მათ ნებას არ აძლევს განახორციელონ პრაქტიკულად ეს საამდროისო საშვალება სიძვირესთან ბრძოლისა.

დეპუტატი კარგა ხნის მოლაპარაკება-თათბირის შემდეგ მუშების წარმომადგენლებს შეჰპირდა, რომ უკან დაბრუნების დროს ენახავ რკინის გზის ადგილობრივ ადმინისტრაციას, თავს მოვუყრი მათ და მოველაპარაკები თქვენ საჭიროებაზე. შემდეგ პეტროგრადშიაც ვნახავ რკინის გზის მართველებს და მივაღებინებ ყოველივე ღონეს თქვენი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლადაო.

მეორე დღეს დეპუტატი გაეშურა აჭარისაკენ, სადაც—გაიგეს თუ არა წინა დღით მისი მოგზაურობა—სადაც კი გადარჩენილა ხალხი გახიზნას, გზადაგზა ხვდებოდნენ მას და უზიარებდნენ თავიანთ გასაჭირს.

გზა და გზა ჭოროხის ხეობაში დეპუტატის მოგზაურობის ამბავისთვის ყური მოუკრავთ აქაურ გზებსა და ხიდებზე მომუშავე დღიურ თუ თვიურ მუშებს და მათი წარმომადგენლებიც სხვა და სხვა მოთხოვნილებებით შეხვდენ მას და ზოგმა ზეპირად, ზოგმაც წერილობითი გააცნეს თავიანთი ჭირ-ვარამი, აი მაგ., რა სწერია ჭოროხის ხეობაში პერემიდის რაიონში მომუშავეთა მოთხოვნილებებში.

ასწერენ რა პერემიდელი მუშები იქაურ მოიჯარადრეთა ძალადობას მათ შესახებ, აი როგორ ახასიათებენ თავიანთ თავს დღევანდელ მომენტის გამო.

**„თუ ჩვენ, მუშები საჭირო ვიქნებით სახელმწიფოს საკეთილდღეოდ, მზად ვართ ყოველივე ჩვენი შეძლებით არ დავიშუროთ უკანასკნელი სისხლი, არა თუ მუშაობა სახელმწიფოს და სამშობლოს დასაცველად.** მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ხაზინა იცლება, ფულები იფლანგება და ჩვენ კი დღიურ სახარჯოსაც ვერ ვღებულობთ თავის დროზე, იმასაც მესამედს და მეოთხედს გვაძლევენ, რითაც დიდ გაჭირებას განვიცდით.

ვინმე ერთი, ან ორი პიროვნება თავის სასარგებლოდ აგროვებს ათიათასობით ჩვენს ნაოფლარს,

ჩვენ მივყევართ სამუშაოზე მათის დაქირავებულ აგენტებს, რომლებიც ცუდ პირობებში გვაგდებენ.

ეს აგენტები დაქირავების დროს გვპირდებიან 2—3 მან. დღეში, მაგრამ, როცა ჩვენ სამუშაო ადგილებზე მიგვიყვანენ და რომელიმე ინჟენერს ჩაგვაბარებენ, ჩვენი იქიდან თავის დახწევა შეუძლებელი ხდება. მაგალითად, პასპორტს გვართმევენ და თუ სადმე წამოსვლა დაგჭირდა, „პროპუსკს“ არ გვაძლევენ.

დაპირებულ სამი მან. მაგიერად გვაძლევენ დღეში ექვს აბაზს და ამასთან ნებაც აღარ გვაქვს სამუშაო დავტოვოთ, სახლში წამოვიდეთ და ოჯახი ვინახულოთ.

ამიტომ მოვითხოვთ: გაუქმებულ იქნას ზემოაღნიშნული ძალადობა: თუ ვინიცობაა მოვისურვოთ სამუშაოს თავის დანებება რაიმე მიზეზის გამო, მოგვეცეს ნამუშევარის სრული ანგარიში, „პროპუსკი“ და ჩვენი პასპორტები, რომ შეგვეძლოს სახლში დაბრუნება.

2. მოვითხოვოთ აგრეთვე ხუთ კაცზე მოგვეცეს ერთი თვიური „პროპუსკი“, რომლითაც ამ ხუთ კაცს შეეძლება სარგებლობა უეცარი შემთხვევისათვის სახლში წამოსასვლელად.

3. მოვითხოვთ, რომ ფული ყოველ კვირაში დაგვირიგდეს. მეურმეები მოვითხოვთ აგრეთვე, რომ დაპირებისამებრ მოგვეცეს ცუდ ამინდებში ნახევარი დღის ქირა.

საერთოდ

აქ ციურ მანანასავით მომლოდინე დეპუტატს ბევრი გულის ნადები თურმე გადუშალეს როგორც ადგილობრივად დარჩენილმა მკვიდრმა, მეო,

გაგვიცხადა დეპუტატმა ქუთაისში, ისეთი საინტერესო ცნობები და ფაქტები შევკრიბე ხულო-ჭოროხის და მის მიდამოების ცხოვრებიდან, რომ ბევრ მათგანის გამოქვეყნებას ჯერ არ ვკისრულობ, ზოგზე კი დღევანდელ მომენტში წერაც არ შეიძლება,—და ამით გაკვრით გვაგრძნობინა მან, თუ როგორი მდგომარეობაა იქ დღეს...

საერთოდ აქაურ მუშებს შეუჩივლიათ მისთვის ჯამაგირების სიცოტავეზე, სურსათ-საკვების სიძვირესა და უქონლობაზე, ცუდ მოპყრობაზე მოიჯარადრეებისგან, წასვლა-მოსვლის სიძნელეზე და სხ.

დეპუტატი ყველას შეპირდა: შესაფერ ზომებს მივიღებ თქვენი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათო და მათაც ბათომელებივით დაუბარა: ყოველივე თქვენი მოთხოვნილებები დაასაბუთეთ, გამომიგზავნეთ ქუთაისში და როცა იქიდან წავალ თბილისსა და რუსეთში, შესაფერ დაწესებულებებში ვიშუამდგომლებ თქვეზეო.

როცა დეპუტატს დედის სიკვდილი დეპეშით აცნობეს, 14 სოფლის წარმომადგენლებს სწრაფად მოეყარათ თავი ს. ხულოში. წარმომადგენლები ხალხის ნდობით აღჭურვილნი და საპატიო პირები იყვნენ; სუყველამ სათითაოდ აუწყა დეპუტატს ყველაფერი, რაც ხდებოდა სოფლად ომის „ჩეტნიკების“ და აჭარაში შესვლის დროს. როგორ აუპატიურებდენ ქალებს, სწვავდენ სახლებს, მიჰქონდათ და იტაცებდენ მკვიდრთა ქონებას და საზღვრებზე ჰყიდნენ. ხშირი იყო მათგან ცემა-ტყეპა და წვალებაც კი ბერძნების და სომხების დამალვის გამო,

ყოველივე ამ გაჭირვებასთან ხულოს რაიონის წარმომადგენლებმა შიმშილობა აუწერეს დეპუტატს და უთხრეს, რომ საქველმოქმედო საზოგადოების მიერ გაგზავნილი სიმინდი აჭარას ვერ უშველის, რადგან იგი წვეთია ზღვაში. აქ სიმინდს არიგებენ სულზე 4 გირ. და ბათომიდან ხულომდი ასატანი ფუთზე 40 კ. უჯდებათო.

ხულოელებთან საუბარი დეპუტატს შუაღამემდე გაუგძელდა. რაკი მას აქ სამწუხარო დეპეშამ მოუსწრო, მოგზაურობა შესწყვიტა და გამობრუნდა უკან. გამობრუნებისას უფრო მომეტებულ ხალხს გაეგო დეპუტატის მოგზაურობა და ქედაშს უკვე 21 სოფლის მცხოვრებნი (ორი ოლქის)—ცხმორის და ქედის წარმომადგენელნი შეხვდნენ.

აქ კრება საბოქაულოს უფროსს მოეწვია და თუმცა იგი ოფიციალი იყო, მაგრამ მუსაიფი ქართულად გაიმართა ხალხსა და დეპუტატის შორის, ხოლო უფროსს აქა-იქ უთარგმნიდა დაბალი მოხელე ამათ ნალაპარაკევს. მუსაიფი კი ხანდახან აშკარა და გულახდილი ქონდა დეპუტატს და ისინიც გულახდილად ებაასებოდნენ თავიანთ მხნე მოამაგეს. მათ წინდაწინ გაეგოთ, რომ ქუთაისში დეპუტატს დედა გარდაეცვალა და ყველა გულწრფელ სამძიმარს უცხადებდა და ეუბნებოდა: „ჩვენი გულისათვის მომაკვდავი დედა მიგიტოვებია და აქ წამოსულხართ ჩვენდა დასახმარებლათო“.

ქედელებს სხვა მრავალ თავიანთ გასაჭირის გამო საუბარში ისიც უთქვამთ დეპუტატისთვის, რომ მათ სკოლები არ ჰქონდათ დღემდის და თითო-ოროლაც მთავრობის სკოლა თუ სადმე შეგხვდებოდა, იქ ქართულის ჭაჭანება არ იყო. ქართული ანბანის სასწავლი წიგნები, გაზეთები არ მოგვეძეოდა. წ.-კ. საზოგადოებამ ამას წინად ქართული წიგნები გამოგვიგზავნა, მაგრამ ვერავინ წაიკითხა, რადგან ან-ბანი არავინ იცის. წამკითხველები სად მოგვეძევება. აქაურს სკოლებში მასწავლებლებიც უცხოელები არიან და ჩვენ ერთმანეთის არა გაგვეგებაო.

გარდა ზემორე ნათქვამისა, დეპუტატის ყურადღება მიუპყრია დავლილ რაიონებში საექიმო პუნქტების ცუდ მდგომარეობას. მაგალითად, ხულოში ყოფილა საზოგადოების ფერშალი და ქედაში კი ახალგაზდა სტ. ექიმი მ. ხვედელიძე, რომელთაც შეუჩივლიათ დეპუტატისთვის, რომ იქ მეტისმეტად გავრცელებულია ქალთა სასქესო ავადმყოფობა. ეს სენი გასჩენიათ მათ ზამთრის ყინვებში უეცრად გადახიზვნის დროს სირბილის და სიცივის გამო. ამათ ის უხერხულობაც აუხსნიათ დეპუტატისთვის, რომ საექიმო მიზნით ასეთ ავადმყოფ ქალების გასინჯვა და ავადმყოფობის გაგება მამაკაცექიმისგან ყოვლად უხერხულიაო და დედაკაცი ექიმები კი აქ არ მოგვეძევება და ამნაირად მათ ვერავითარ დახმარებას ჩვენ ვერ ვუწევთო.

საერთოდ თავიანთ დეპუტატს აჭარლები დიდის ალტაცებით და პატივისცემით ხვდებოდნენ ყოველგან, სადაც კი მას ხელი მიუწვდა. ხალხის პატივისცემის მიხედვით დღეს აჭარლების ბედ-იღბლის მატრიალებლი მოხელეებიც დიდის თავაზიანობით ეპყრობოდნენ რუსეთის პარლამენტის წარმომადგენელს და ამიტომ მას თავის მოკლეხნიან მოგზაურობაში ტეხნიკური დაბრკოლებები არ შეხვდრია. ლ—საც მყისვე მიუცია მისთვის სამოგზაურო მოწმობა.

„მიუხედავად პირადი მწუხარებისა და იმ სამწუხარო ამბების გაგებისა აჭარაში, დეპუტატი ჩხენკელი მეტად აღტაცებულია აჭარის ბუნების სიმშვენიერით, მისი ძველი კულტურული ნაშთებით: ნანგრევებით, ეკლესიებით, ციხეებით, ხიდებით; იგი ჰკვირობს, როგორ ახერხებდნენ იმ დრო-ჟამში ასეთი ხიდების აშენებას. აქ არის თამარის დროის ხიდები მისივე სახელწოდებისა, რომლის თაღების სადა და მტკიცე მიყვანილობა დღესაც აკვირვებს მნახველს.

დეპუტატი იმდენად გაუტაცნია აჭარის წარმტაც ბუნების სიდიადეს, რომ გადაწყვეტილი ჰქონია თითო-ოროლა კვირით აჭარა-კლარჯეთ, შავშეთ-იმერხევის, არდანუჯ-არდაგანის მიდამოებში იცხოვროს და დაწვრილებით შეისწავლოს ღვთის მიერ დაჯილდოვებული და ადამიანთა ხელით გაოხრებული ქვეყანა.

მაგრამ ამ ფართო მიზნის შესრულება მას არ აცალა არც მოულოდნელმა მწუხარებამ—დედის გარდაცვალებამ—და არც სახელმწიფოებრივ ცხოვრების დღევანდელმა მომენტმა, რომელიც მასაც, როგორც დეპუტატს, პარლამენტში იწვევს. იგი ამ დღეებში აჭარლების და იმერეთის -წყალდიდობის გამო თბილისში გამოივლის და პეტროგრადს გაემგზავრება თანახმად საპარლამენტო მოწოდებისა.

**ქუთათური მწიგნობარი.**

# კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგად. კრება

**ერობა კავკასიაში.**

კრება გაიხსნა საზოგადოების პრეზიდენტის უგანათლებულეს თავ. პ. ა. გრუზინკის თავმჯდომარეობით 9 ივლისს საღამოს $8^1/_2$ საათზე. კრებას დიდძალი ხალხი დაესწრო. განსახილველია ი. გ. ალიბეგოვის განცხადება იმის შესახებ, რომ სამეურნეო საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრას ამიერ კავკასიაში ერობის შემოღების შესახებ.

„ჯერ ისევ მესამოცე წლების ბოლო ხანებში—ამბობს ავტორი მოხსენებისა—გორის მაზრის თავად-აზნაურთა ლიბერალურმა ახალგაზდობამ აღძრა საკითხი ერობის შემოღების შესახებ ამიერ კავკასიაში. ამავე საკითხს შეეხო თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობა 1871 წელს, როცა იმპერატორი ალექსანდრე მეორე მობრძანდა კავკასიაში. 1882 წელს თავად-აზნაურთა კრებაზე თბილისში გ. მ. თუმანოვმა აღძრა საკითხი ერობის შემოღების შესახებ ჩვენს მხარეში. ამავე საკითხის შესახებ კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებაში განსაკუთრებული მოხსენება წაიკითხა 1903 წელს ა. ი. საკოვმა. 1905 და 1909 წლებში მეფის მოადგილის გრ. ვარანცოვ-დაშკოვის ნებართვით საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენელთა მონაწილეობით თათბირი იყო გამართული, სადაც ხსენებული საკითხი ყოველმხრივ იქმნა განხილული. ამავე საკითხს დიდ ყურადღებას აქცევდა ადგილობრივი პრესაც. ხმა მაღლა ილაპარაკეს ამავე საკითხზე სახელმწიფო სათათბიროში. მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველივე მეცადინეობას მედგრად ეღობებოდა წინ ჯიუტი და ბიუროკრატია. ეხლა—განაგრძობს ავტორი მოხსენებისა,—როცა ხანგრძლივი ომი თხოულობს ყოველივე ძალ-ღონე მოიკრიბოს ხალხმა, კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოება ვალდებულია უფრო აღიმაღლოს ხმა, ვინემ წინად, და გაბედულად მოითხოვოს დიდი ხნის მომწიფებულ საკითხის დაუყოვნებლივ განხორციელება“.

თავმჯდომარის წინადადებით, თავ. **გ. მ. თუმანოვი** ვრცლად შეეხო ერობის საკითხის ისტორიას. მან აღნიშნა, რომ ეს საკითხი ყოველმხრივ შემუშავდა 1909 წელს საგუბერნიო კომისიებში, რომ ეს კომისიები მეფის მოადგილის ბძანებით შესდგა და მეფის მოადგილე კეთილის თვალით უცქეროდა საერობო საკითხს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საკითხი არა თუ არ ეღირსა განხორციელებას, არამედ დიდი ნაწილი 1909 წლის ნამუშევრისა, მაგალითად, თბილისისა და ბაქოს საგუბერნიო კომისიების შრომა, ჯერ დაბეჭდილიც არ არის. ყოველივე ნაშრომი ხსენებულ 1909 წლისა მეფის მოადგილის კანცელარიაშია უძრავად და კანცელარია ამბობს, რომ ზოგი მასალა სავსებით არ არის დასაბუთებული სტატისკურადო, ხოლო არ დაიბეჭდა იმიტომ, რომ ამ საქმისათვის მუშა ხელი გვაკლიაო. რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ მოიქცეს ამ ჟამად საზოგადოება და რა გზით აღძრას შუამდგომლობა,—ორატორი იმ აზრისაა, რომ ხელმეორედ საკითხის გადასინჯვა და შემუშავება დიდ დროს მოითხოვს, ხოლო საქმის გაჭიანურება სასურველი არ არის. ამიტომ, მისის აზრით, ვინაიდან ყოველივე მასალა მეფის მოადგილის კანცელარიაშია და მეფის მოადგილე თითონ მომხრე იყო საერობო რეფორმებისა ჩვენში, სამეურნეო საზოგადოებამ იმასვე უნდა მიჰმართოს შუამდგომლობით—კანონპროექტი წარადგინოს ერობის შემოღების შესახებ, მით უფრო, რომ მისი ნება თუ არ იქმნა, მაინც არავითარი რეფორმა არ განხორციელდება ჩვენში. ამასთანავე ორატორმა ურჩია საზოგადოებას 1909 წელს დამუშავებულ მასალების დაბეჭდვაში ზნეობრივად და შრომით დახმარება აღმოუჩინოს მეფის მოადგილის კანცელარიას.

**აგრონომი კალესტინოვი** იმ აზრის არის, რომ ყოველივე მასალა, რაც რამ საჭიროა აღძრულ საკითხის განსახორციელებლად, კავკასიის დეპუტატებს წარუდგინოს სამეურნეო საზოგადოებამ, რომელნიც სახელმწიფო სათათბიროში ჭირისუფლობას გაუწევენ საქმის დაგვირგვინებას.

**გ. დ. ჟურული** შეუძლებლად სცნობს მთელი კავკასიისათვის საერთო ტიპის ერობას, ვინაიდან კავკასიაში ყოველ კუთხეს თავისი განსაკუთრებული პირობები და ინტერესი აქვს და ამის მიხედვით თითო კუთხეს განსაკუთრებული, თავისი შესაფერი ერობა უნდა. ორატორმა აღნიშნა ის გარემოება, რომელიც არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ ბიუროკრატიას რაღაც საიდუმლო პროექტი აქვს ერობისა, რომლის ნახევარი საზოგადოებრივია და ნახევარი ბიუროკრატიული, თუმცა ასეთი პროექტის შემუშავება არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენდა, რადგან საზოგადოებრივმა ძალებმა უკვე შეიმუშავეს ყველა გუბერნიისათვის შესაფერი ტიპები ერობისა. ამიტომ ორატორი წინადადებას აძლევს კრებას—შუამდგომლობა აღძრას ერობის შემოღების შესახებ, მაგრამ ეს ერობა უნდა იყვეს შესაფერისი ყველა კუთხისათვის და ამასთანავე არსებულ ერობათა გამონაკლისს არ წარმოადგენდეს.

**აგრონომი კალესტინოვი** იმ აზრის არის, რომ საზოგადოებას შეუძლიან ითხოვოს ერობა, მაგრამ რა ტიპისა უნდა იყვეს იგი, ამაზე ვერაფერს ამბობს.

**ე. ო. იოსელიანმა** დიდი უპირატესობა მისცა 1864 წლის ერობას, რომელიც, მისის სიტყვით, მიუხედავად თავისი აუცილებელ ნაკლულევანებისა, ცხოვრებასთან დაახლოებულიყო და საზოგადოების ყველა ჯგუფს, წოდებისა და ქონების განურჩევლად, ერთნაირად ემსახურებოდა. 1892 წლის ერობა-კი რეაქციის ნაყოფია და საფუძვლად ის უდევს, რომ იგი ყოვლად გამოუსადეგარი იყვეს ხალხისათვის ამ ერობის განხორციელების შემდეგ კერძო ინიციატივა, თვით-შემოქმედების ნიჭი, მოისპო რუსეთში, რასაც აშკარად გვიჩვენებს წარსული და აწმყო ცხოვრება. სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო, რადგან სოფლად ხსენებულმა ერობამ გააბატონა თავად-აზნაურობა, ქალაქებში-კი—მსხვილი ვაჭრები. ორატორის აზრით, ასეთი ერობა ჩვენი ქვეყნისათვის საზარალო იქნება, რადგან იმას შეუძლიან დიდი უთანხმოება დაჰბადოს სხვა-და-სხვა წოდებათა შორის. ამიტომ იგი იმ აზრის არის, რომ სამეურნეო საზოგადოებამ მოითხოვოს 1864 წლის ერობა.

**თავ. გ. მ. თუმანოვიც** უპირატესობას აძლევს 1864 წლის ერობას, მაგრამ სამაგიეროდ 1892 წლის დებულება, მისი სიტყვით, უფლებას ანიჭებს ერობათ სავალდებულო დადგენილებანი გამოსცენ და ეს ერთგვარი ავტონომია არის. წოდებრივ უპირატესობას რუსეთის ყველა ერობაში უფლება არ აქვს მინიჭებული და რაც ამიერ კავკასიას შეეხება, აქ მხოლოდ 2 გუბერნიაშია თავად-აზნაურობა. გარდა ამისა, მთავრობასთან კამათი ამ ჟამად ამა თუ იმ ერობის უპირატესობაზე საქმეს დაღუპავს. კანონპროექტი უნდა განიხილოს სახელმწიფო სათათბირომ, სადაც ბევრია ერობის მომხრე და ისინი შესძლებენ საკითხის გარკვევას.

**უგან. თავ. პ. ა. გრუზინსკის** აზრით ამ ჟამად უმთავრესი საკითხი ის არის, თუ რა გზით უფრო ადვილად განხორციელდება თვით პრინციპი პროექტისა, ხოლო რაც შეეხება წვრილმანებს, ამისათვის შემდეგაც იქნება დრო. საქმის დასაჩქარებლად მას უმახლობელეს და საიმედო გზად სახელმწიფო სათათბირო მიაჩნია.

**ა. ი. საკოვი** ამტკიცებს, რომ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებს უნდა მიუთითოთ იმ ცვლილებებზე, რომელნიც უნდა მოხდეს ერობის კანონპროექტში. ამისათვის, ორატორის აზრით, საჭიროა საზოგადოების წევრებმა ამის შესახებ თათბირი იქონიონ და ერთმანეთ შორის მორიგდნენ. შემდეგ ორატორმა განაგრძო, რომ კარგია და საჭიროც მთავრობას მივმართოთ თხოვნით, რათა კანონპროექტი დააჩქაროს, მაგრამ ეს კი ცხადია, რომ ის პროექტი ერობისა, რომელიც იმას აქვს, ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილებსო.

**უგან. თავ. პ. ა. გრუზინსკიმ** განმარტა, რომ როცა საგუბერნიო კომისიებს თათბირი ჰქონდათ, ფინანსიური მოსაზრებით შესაძლებლად სცნეს ერობის შემოღება მხოლოდ ორ გუბერნიაში—თბილისისა და ქუთაისისა. ამიტომ მთავრობამ გადასწყვიტა, რაღაც ახალი, არსად არსებული ერობის პროექტის შედგენა. შეეხო-რა წინანდელ ორატორს, თავადმა გრუზინსკიმ განაცხადა, რომ ბ-ნი საკოვის წინადადება თუ შეიწყნარა კრებამ, საქმის განხორციელებას ვერ ვეღირსებითო. დამუშავებულ მასალაში—განაგრძო ორატორმა—ყველაფერია და ეხლა ახალს ვერაფერს გამოვძებნით. ამიტომ თუ ყველა ამ მასალას გავგზავნით სახელმწიფო სათათბიროში, იქ იმას გაუჩხრეკელად არ დასტოვებენ და დღეს მეტს ვერას მოვახერხებთო.

**ბ-ნი კუშკინი** ამტკიცებს, რომ 1864 წლის ერობას ჩვენ არავინ მოგვცემს და ამიტომ უმჯობესია 1890 წლის ერობაც არ დავკარგოთო. ორატორის აზრით, მხოლოდ საჭიროა წვრილმანი ცვლილებების შეტანა მოვითხოვოთ, ადგილობრივ პირობათა შესაფერისად.

**ექ. მ. გედევანიშვილს** აკვირებს და დაუჯერებლად მიაჩნია ის გარემოება, რომ მეფისმოადგილემ საზოგადოებრივ ძალებს მიანდო ერობის პროექტის შემუშავება, კომისიებმა უარჰყვეს საერთო ერობა, მაგრამ ეხლა მაინც ხმა დადის საიდუმლო პროექტის არსებობის შესახებ. ორატორი ვრცლად შეეხო ამა თუ იმ ერობის ღირსება-ნაკლულევანების დაფასებას და საკმაოდ განმარტა, რომ 1909 წელს კომისიებმა საქმის ყოველივე გარემოება მიიღეს მხედველობაში; იმათ კარგად გამოარკვიოს, რომელი რას სჯობიან, მაგრამ პრაქტიკულის მოსაზრებით, რათა საქმე სულ არ დაღუპულიყო, საჭიროდ სცნეს 7892 წლის დებულებაზე გაჩერებულიყვნენ, მაგრამ შესამჩნევი ცვლილებებით თითო გუბერნიის პირობათა მიხედვით, ამისათვის ორატორი ურჩევს კრებას განაჩენი გამოიტანოს იმის შესახებ, რომ ხსენებული პროექტები დაედვას საფუძვლად მოსალოდნელ ერობას და მმასთანავე იმედი გამოსთქვას კრებამ, რომ სახელმწიფო სათათბირო და მთავრობა პატივისცემით მოეპყრობიან საზოგადოების აზრს.

**გ. მ. ლასხიშვილი** ეთანხმება წინანდელ ორატორს.

**ი. გ. ალიბეგოვი** (ავტორი მოხსენებისა) უაზროდ სთვლის მეფისმოადგილეს მიმართოს საზოგადოებამ, ვინაიდან იმისათვის არა ერთხელ მიუმართნიათ ამ საკითხის გამო, მაგრამ არა გამოსულა-რა. შემდეგ ორატორმა, მოიყვანა-რა ციტატები პროფესორ ივანოვსკის ნაწერებიდან იმის შესახებ, რომ 1891 წლის დებულება რეაქციის ნაყოფია, სურვილი გამოსთქვა თხოვნით მიმართოს საზოგადოებამ სახელმწიფო სათათბიროს და ითხოვოს 1864 წლის ერობა შესაფერისი ცვლილებებით.

**ექ. მ. გედევანიშვილი** ურჩევს კრებას, პრაქტიკულის მოსაზრებით, საზოგადოებამ მეფისმოადგილესაც მიმართოს თხოვნით და დეპუტატებსაც.

ბოლოს რამდენიმე რეზოლიუციიდან, რომლებიც თავმჯდომარემ დაასახელა, კრების მიერ მიღებულ იქნა მ. გედევანიშვილის პროექტი: 1) საფუძვლად დაედვას მომავალ ერობას ამიერ კავკასიაში 4892 წლის ერობის დებულება იმ შენიშვნებით და განმარტებით, რომლებიც ნაჩვენებია 1909 წელს საგუბერნიო კომისიების მიერ და 2) ამის შესახებ შუამდგომლობა აღიძრას როგორც სახელმწიფო სათათბიროს, აგრეთვე მეფის მოადგილის წინაშე.

**ლ. ლევანიძე.**

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

**(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)**

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისიდან . . . | 8 ს. | 13 წ. | დილ. |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. . | 8 „ | 40 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . . | 8 „ | 58 „ | „ |
| ვაზიანიდან . . . | 10 „ | 06 „ | „ |
| ივრიდან . . . . | 21 „ | 15 „ | „ |
| საგარეჯოდან . . . | 11 „ | 58 „ | „ |
| ბადიაურიდან . . . | 12 „ | 56 „ | „ |
| ელაანიდან . . . . | 2 ს. | 16 წ. | საღ. |
| გურჯაანიდან . . . | 3 „ | 37 „ | „ |
| კარდენახიდან . . . | 4 „ | 12 „ | „ |
| წნორის-წყალზე . . | 4 „ | 44 „ | „ |

**გურჯაანიდან-თელავამდე № 7.**

| | | | |
|---|---|---|---|
| გურჯაანიდან . . . | 3 ს. | 42 წ. | საღ. |
| ვაჩნაძიანიდან . . . | 4 „ | 33 „ | „ |
| თელავში . . . . | 5 „ | 27 „ | „ |

**თბილისისკენ მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| წნორის-წყლიდან . . | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| კარდანახიდან . . . | 9 „ | 41 „ | „ |
| გურჯაანიდან . . . | 10 „ | 24 „ | „ |
| მელაანიდან . . . | 11 „ | 39 „ | „ |
| ბადიაურიდან . . . | 12 „ | 59 „ | დღ. |
| საგარეჯოდან . . . | 2 „ | 80 „ | „ |
| ივრიდან . . . . | 2 „ | 50 „ | „ |
| ვაზიანიდან . . . | 3 „ | 55 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . . | 4 „ | 58 „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. . | 5 „ | 13 „ | „ |
| თბილისში , . . . | 5 „ | 28 „ | „ |

**თელავიდან-გურჯაანამდე № 8.**

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან . . . | 8 ს. | 54 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან . . . | 9 „ | 25 „ | „ |
| გურჯაანში . . . | 10 „ | 07 „ | „ |

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 3 | ბაქოდან . . . | 12 ს. | 54 წ. | დღ. |
| № 4 | ბათომიდან . . | 5 ს. | 55 წ. | საღ. |
| № 5 | ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. | 41 წ. | საღ. |
| № 10 | ბათომიდან. . | 9 ს. | 51 წ. | დილ. |
| | ჯულფიდან. . | 6 ს. | 53 წ. | დილ. |
| | ბორჯომიდან . . | 7 ს. | 25 წ. | დილ |

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 3 | ბათომისკენ . . | 1 ს. | 45 წ. | დღ. |
| № 4 | ბაქოსკენ . . | 7 ს. | 3 წ. | საღ. |
| № 6 | ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. | 8 წ. | დღ. |
| № 9 | ბათომისკენ . . | 8 ს. | 53 წ. | საღ. |
| | ჯულფისკენ . | 10 ს. | 23 წ. | საღ. |
| | ბორჯომისკენ | 3 ს. | 29 წ. | დღ. |

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

**ახალი აფთიაქი**

**პროვიზორის ახვლედიანისა.**

25—32

**თევზის მრეწველნი**

**ძმ. მეზველოვები**

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.**

**განყოფილება ავლაბარში**

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.**

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. ზაილოვის-შვით**“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

[illegible] № 5. ნებადართულია სამხედრო ცენზურისგან.